

გაზეთის ფასი:

გაზეთი თბილისში	ბაზუგაზე:
და გარეშე ადგილებში:	— — — 6 მან.
ერთი წლისა — 7 მან.	— — — 3 — 50 კ.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
საღამო ერთი წლისა გაუზარებელია — 3 შაური.	
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევით.	

დროება

ხელის-მოწერა მიიღება: **ბრუნსკი**

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკ-
შეილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭდვის სა-
ხლი.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь
контору редакци грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ენებზე. შავი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრუნსკი ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლონიო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე
1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს
წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემლის ხელში.

ხელმოწერის ფასი:

გაზეთი თბილისში	ბაზუგაზე:
და გარეშე ადგილებში:	— — — 6 მან.
ერთი წლისა — 7 მან.	— — — 3 — 50 კაპ.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევით.

ხელი მოწერება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მედიკ-შეილის და კაპ. სტამბაში, ხა-
ნის ქუჩაზე, ბეჭდვის სახლი.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь
Контору редакци грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ფელეტონი

დარზე ლაპარაკი. — მართა ფილოსოფოსთა ლაპარაკი: ოჯახობის აღიარებაზე და მოღვაწეობა. — ადრინაობა საზოგადოებაში და დარინაობა გლობაში. — მკვი, ვი-
აუ გლობის მოძრაობას არ მიეცეს დამოუკიდებლობა. —
ჩვენი უსაფუძვლოება. — თბილისის ბანკის უკანასკნელი
ამბავი. — სამღერაფი დროებაზე. — მარაუღი ყურნალების
ამბავი. — რუსულ გამოცემაზე.

მეცხანაზე დარზე ლაპარაკისთან ადგილი
არა იქნება. აი შემოდის თქვენთან სტუმარ-
ი; როგორც მოგხსენებთ, პირველათვე მუ-
საიფობის გამართვა ძნელია, ამიტომ კიდევ
მაშინვე დაიწყებთ დარზე ლაპარაკს. შედე-
გისთვის ასე იცან ხოლმე, უეჭველია,
დარზე მოპყვებიან და ხშირად კიდევ იმაზე და-
სრულდებიან. — ახლა, თქვენ მეტყვეობ, შენ კიდ-
ევ იმიტომ დაიწყე აგრეთ. სოფელ გამყვანებუ-
ლი სჯობია, მეც აგრეთ ვაპირებ. მაგრამ დარი
ბევრგვარია, მათგან: ცოლქმრობისა, ოჯა-
ხობაში, მამულისმოვლაში, ხნა-თესვაში და მო-
სავალში; — მასუკან, ჩემს თვალის სინათლენო
საზოგადოებო ცხოვრების მომდინარეობაში და
ამათ შორის ლიტერატურაში. აი ამათ ცოტ-
ადა, ნაკლებად ნაკლებად გადავადლოთ თვლი.
დარები ძალიან კარგი დგას ქალაქში, ასე
რომ ერთის დღის მეტათ თვლით თოვლი
არ გეინახეს (რასაკვირველია მთებისას გარ-
და); არც ყინვა ყოფილა, რომ არამც თუ
მტკვარი, ისე ქუჩაში წყალი ორი დღე ერ-
თმანერთზე გაყინოს. მაღალს გარეთ კი თო-
ვლიანობას მოგახსენებენ.

შინა ოჯახობაში ძალიან გვეტყობა. ცოლ-
ქმრობა და ოჯახის საქმე მდის ჩვენებურა-
თა, ძველებურათა. მაგრამ გვეყინს ვეღარა
მოგვიხსენებია, რომ „გვეყინდეთ, ვიძახდეთ ჰა-
რარადღეს.“ მაგრამ არ გვეგონათ, რომ
სრულდებით აღარა ემდობოდეთ. არა, როგორ
შეიძლება თქვენ დღეგრძელობას; ჩვეულება
ჩვეულებით უმტკიცესია, ხომ გაგონილი გექნე-
ბათ.

აქორი ჩემის ნაცნობის ლაპარაკი უნდა მო-
ვიტანო ოჯახობის დარინაობაზე.
— სიძვირე ძალიან ჩამოვარდა ბატონო. წრე-

ულს პატარათ პური გაიფუტა, თორემ სხვა რამ
როგორცაქმდის გეიყინდია, ისე ის ფასი აძევს;
ჯობენ ფული აღარა რჩება კაცსა, რომ შავი
დღისთვის ორიოდ გროვილა დარჩეს, ელში
არ ჩაფარდეს. თქვენ ნუ მომიკვდით, რაც-
ცხადებთა გავიგო, მეტი აღარ ითქმის.
აი ამბობენ განათლება შემოვიდა, განათლე-
ბაო; განათლება კი არა — განაცრება. ამდენი
მიქარვა ვის ენახა! მხოლოდ სული ვიყავით
მამიჩემის დროსა, ღმერთმა სულით გაანთ-
ლოს, ერთ დარბაზში ვეტიოდით ყველანი.
ჩვენი სასტუმროც ის იყო, საწოლც და ასე
გაშინჯეთ სამზარეულოცა, — თუ სტუმრები
გვეყოლებოდა იქვე სათორნე გვერთ ეკრა
იქ მოხარშავდნენ საქმელსა. მონის სათელი
არ ეიცოდით, ტაგანი გვედგა ჭრავითა. რის
მებელი, რის ფანჯრის ფარდები, სად რა იყო.
აბა ახლა სტუმარი გვევადეს და ქონის სან-
თელი ანთე, ნახე რაებს ილაპარაკებენ. ახ-
ლა ტანთ ჩაცმა-ახლა... მაგრამ რომელი ერთის
მოგიყვებ.

— ამაზე ერთმა ელანდელმა ფილოსო-
ფოსმა დამიწყო ლაპარაკი, რომაო სხვას ნუ
დასდევო, რაც უნდა თქვანო; სევეი ძვალს
გაზომავს და ისე ჩაჰყლაპავსო. იმის ფიქრით
ჩვენა ვართ დამნაშავე. მოდა და ახალი შე-
მოღება კი რამ არის, ამიტომ რომ უფრო
ლაპარაკი ავდგეს კაცსა, თვალთ სისწორეს,
ფაქიზობას ასწავლის; ესენი ერთის მხრით გო-
ნებას უხსნის კაცს, რიგინაობას აწევს
და ჯანის სიმრთელისთვისაც კარგია. ამის-
თვის კიდევ მოდას და ახალ-შემოღებულ-
ბას ხალხის წინ წასვლაში თავისი მონ-
წილობა უქირავს, ბანათლებულ ქვეყნებში
ახალ შემოღებულობა, რასაკვირველია, გარე-
განი ნიშანია განათლებისა. ჩვენ ეს თვალთ
დასანახავი რამ ნამდვილ განათლებათ მიგე-
ხნია, ამიტომ რომ გონების თვლი რადგა-
ნაც ჯერ არ აგვიხდებია განათლებითა, სახე-
დველი თვლით რასაცა ვხედავთ. ისა გვეგო-
ნია ნამდვილ განათლებათა. აი ამისაგან არის,
რომ მართა მოდას მიედევთ და გონებას კი
არაფერს არ ვეკითხებით, ეცდილობთ, რომ
ახლავე უკან არ დავრჩეთ და ერთმანერთის

შინაარსი: პოლიტიკა: ანგლია. შრანცია. —
ტელეგრაფები. — სხვა-და-სხვა ამბავი: მკანის
კუთხულზე კაცების ტაცვა. ლაშქრის ქალწულები. —
სახსინო განცხადება. — საბიბლიოფრაფო ცნო-
ბა. — ქერძობითი განცხადება შელეთონი.

პოლიტიკა.

ანგლია. საბერძნეთის საქმეებზე გა-
მოკითხვა. პ დეკემბერს რომ ანგლიაში სა-
ზოგადოებო — პალატის შეყრილობა იყო, მაშინ
მართებლობას სხვა-და-სხვა საქმეები გამო-
კითხეს, მაგრამ ის გამოკითხვა, რომელიც უფ.
მლიოტის ელჩობას 1862 წელში (პთინა-
ში) შეეხება, უფრო განსაკუთრებით ყურად-
ღების ღირსია. ლორდმა ბეიმ ჰკითხა უცხო
ქვეყნის საქმეთ მინისტრს: სამინისტროში
შენახულია თუ არაო უფ. მლიოტის დებე-
შა, 1862 ანუ 1863 წელში მოწერილი, რა-

გამოჯიბრებით ოჯახს ეაკლებთ. მოდის მიხე-
დვა არ არის დასაძრახისი, რიგინაობა, ფაქი-
ზობა რა დასაძრახისია. მაგრამ გადაწყვეტი-
ბის თაყვანება წამახდენელი, დამტკიცე და
ჩვენი დამნებელი. ამისთანა უზომოება
ფუფუნება, რუსულათ რომ იტყვიან покровы,
ყოველთვის და ყველა ხალხებში, ისტორია
გვიმტკიცებს, დიდი უბედურება მოუხდენია სა-
შვილი-შვილოთ. ამ მიზეზისა გამო, რომ ზო-
მიერათ ცხოვრებაში, კაცი უფრო ერთ დო-
ნახე; ოჯახობის საქმეში სიფაქიზესთან
რიგინაობას დაჟვსებს. ცოლშვილს გაჭირება
არ დადებდა და ნამდვილი საჭიროების და-
კმაყოფილება შეუძლიან. უზომო ცხოვრება-
ში ცოლშვილისთვის სახვალეთ ზრუნვა არ
არის, საზრუნებელი მართო დღევანდელი მო-
და. არა უშავს რა თუ სახვალეთ რიგინა
საქმელი არ ექმნება ცოლ-შვილსა; რა უშავს,
თუ ხელოლოყა უსწავლელი შვილი გვე-
ყოლება და თუნდა სიბერეში ლუკმა პურის
ნატრული გავხდებით, რა უშავს? მღონც კი
დღეს ზემო ატაყების ოთახებში გაეკიმო
ძვირფასი მებილით, შანდებით, ლამპებით, ხა-
ლიჩებით და ხებრე გოგო-ბიჭების ხროვით,
რომელნიც ერთ მოსამსახურეთ არა ღირან.

— ჩემმა მეგობარმა განაგრძო ლაპარაკი.
ჩვენ სულ ამ მოდას ვაბრალებთ; მოდის ბრა-
ლი კი არ არის, ჩვენი ბრალიაო. როგორცა
ეთქი, კუა თავში კი არა, თვალში გვაქვსო.
მართანეთის მიხედვითა ეცხოვრობთ, ეწვი-
რებით, და ვამბობთ, ვითომც თუ ასე არ გა-
მოვდით სირცხვილი იქნებაო. მსეც ტყუი-
ლია, სჯობს ისევე ეთქვას, რომ თავებ-მოუ-
ძლოურებულები ვართ, ხერხი არ ვიცით, რო-
გორ ვიცხოვროთ, აი ეს არის მიზეზი. მთქვით
შენ ასი თუმანი გაქვს წელიწადში. ძალას
ვინ გატანს, რომ ოცდა ხუთი თუმანი სა-
ხლი გიჭირავს, ხვერდის ბურუნებს უყვარ-
ცოლსა და დასა, დროშებით და ფეტრე-
ბით დასიერებ ხოლმე, თეატრში ლოყას იღებ
ხუთ-ექვს მანეთიანსა. აი მოდა უკანასკნელი:
ფრანკუზის აქაური ქალები მანეთიან სკამე-
ში სხდებიან, ხომ გაგიგონია რომ პეტერბურ-
გშია ასე დაიარებიან, რატო ამ მოდას კი


მელშიაც ნათქვამია, რომ იმან საბერძნეთის
დროებ-თი მართებლობის პრეზიდენტს უფ.
ბულგარისუს განუცხადა ეს, რომ მის დიდ-
ბულგარს ანგლიის კაროლევას, ძლიერ მსურს
მისალიის და მპირის საბერძნეთთან შეერთე-
ბა; მანახმა ხართო, თუ არა, რომ პალატას
ესლა ეს დებეშა განუახლოთ და შეატყობი-
ნოთო. — ლორდმა სტენლიმ ეს პასუხი შე-
თვალა: „მე ვგონებ, რომ ამ გვარი განცხა-
დება ნამდვილათ იყო შემოხსენებულს დროს,
მაგრამ უფ. მლიოტმა ეს იმ აზრით განუ-
ცხადა პრეზიდენტს უფ. ბულგარისუს, რომ,
ვითომ გვეგონა პორტა ამხედ უარს არ იტ-
ყვისო; ბოლოს, როცა ჩვენი აზრი არ გამარ-
თლდა და პორტამ უარი სთქვა ამ საქმეს თა-
ვი დავანებეთ. რადგანაც ის დოკუმენტები,
რომლებიც ამ საქმეს შეეხება კონფიდენცია-
ლური ხასიათის მქონეებდნენ არიან, ამისთ-
ვის ვგონებ უსარგებლო იქნება იმათი პალა-
ტის წინ წარდგენა. „ზაფთი Nord“ შენიშნავს:
„მხლა ეკვი აღარ უნდა, რომ 1862 წელში
ანგლიის მართებლობას განუცხადებია თავისი

არ მისდევ. ნახე რომ მედიდურობა გინდა გა-
მოიჩინო ლოყაში. ახლა სახლი; კეთილ-გო-
ნეირი კაცი მოსძებნიდა თორმეტ თუმნიან
სახლსა, ოთხი ოთახის მაგიერათ ორ ოთახს
დაიქვრდა. მაგრამ კიდევ ის არის, რომ
მოხერხება უნდა, გამჭირავება. ახლა მსახე-
რებს ემდურები; განა არ შეიძლება, რომ,
შენმა ცოლმა და დამა თვალყური ადევნო
მსახურებსა, აჩვენო, ასწავლო, ანგარიში
მოლთხოვო? არა. ჩვენ გაუჭირავებას, მო-
უძლოურებას უნდა დავაბრალოთ ყველა. ჩვენ
ჯერ ველოურები ვართ, ველოურები, არაფრის-
თანა ხერხი არ ვიცით.

— მართი თავი დამანებე, რა მეფილისოფოსე-
ბა მეთქი. აგერ ახალწელიწადი გვიახლოვდე-
ბა, ჯავრით კაცი აღარა ვარ. შინ იცის სამსა-
ხურ გარეთ დავრჩე და შენი მტერი!

ამ ორ ფილოსოფოსთ მუსაიფიდგან გადა-
ვიდეთ ახალ-სამართლობის დაწესებაზე. მე-
რმის რომ სამსჯავროები ახალი წესით გაი-
მართება, ეს ყველამ იცის; მხოლოდ გადაწ-
ყვით ჯერ არა სჩანს, რომელი თეიდგანა.
ჯერ ხმა იყო, რომ იანვრიდანაო, ახლა ზო-
გნი ამბობენ თებერვლის ცხრამეტედან. ზო-
გნი — მისიდგანაო. ძველი ჩინოვნიკებთაგანი
ვინც ადგილის შოვნაზე ეკვრის, იმას პატარათ
იმედი ეძლევა, იქნება აღარა იყოს რაო. ამას
და გარდა ნამესტნიკის სამართველოში ჩინო-
ვნიკების რიცხვი (შტატი) შემცირდება. აგრე-
თვე სახაზინო პალატაში იქნება ცდილობა.

მაღალს გარეთიდგან ამბავი გვესმის, რომ
მუშის შოვნა ძალიან გაძნელდა და ძალიან
გაძვირდა კიდევო. რუსეთშიაც სწორეთ ესე
მოხდა ბატონ-ყმობის გადაყარდის შემდეგ.
რუსულ გაზეთებში ხშირად იყო ამ გვარი ჩი-
ვილი და ცხლაც არის კიდევო. ჩვენ დაწვი-
რებით კი ამბავი არ ვიცით, ჩვენში უფრო,
სად რა მიზეზისა გამო მოხდა ესა, წასულ ნომე-
რში წაიკითხავდნენ მკითხველები სტატისა,
რომელიც ამტკიცებდა მაშინების შეგონების
საჭიროებას, რომ მუშაკის უმოწინელობას
მაშინებმა უშველოს. კეთილი, — თუ ჩვენმა
მამულის პატრონებმა ითაყეს და მოახერხეს
ეს საქმე. მაგრამ სად არის ჩვენში ცოდნა,



სურვილი მესალის და მარის საბერძნეთთან შეერთებაზედ. ეს ფაქტი უსარგებლო არ იქნება ყურადღებაში ექიანით და როცა შემთხვევა მოგვეცეს, იმაზედ თითოთი ვაჩვენოთ.

შრანსია. სჯულის-დამდები კოპრუ-სში დეპუტატმა მიკონტამა დე-პერეგენმა დაიწყო ლაპარაკი და ძალიან ეწინააღმდეგა იტალიის ერთობასა. იმის აზრით ნ დეკემბრის ყრილობის გადაწყვეტილებას ეს განზრახვა უნდა ჰქონდეს, რომ იტალიის ერთობა ჩაშალოს. ბერმანის საქმეზე რომ დაიწყო ლაპარაკი, აი რა წარმოთქვა: გაზეთის Finance რომ ბერლინში კორრესპონდენტი ჰყავდა, იმან მოსწერა ამ გაზეთს, რომ პრუსიის მმართველობას შარშან რაც საიდუმლო თავნი ჰქონდა მიცემული სახარჯოთ, ის სულ იმ პარიჟის გაზეთების მოსასყიდებლად დახარჯა, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე; ამ სახით ერთმა გაზეთმა (Siecle), რომელიც თავს იქებს ერთი მილიონი ხელის-მომწერლები მყავს, 600 ათასი ფრანკი მიიღო პრუსიის მმართველობისგან; მეორემ უფრო პატივცემულმა გაზეთმა (Journal des Débats), რომელიც იმახს მე ვარ წარმომადგენელი საუკეთესო საზოგადოებისა, 300 ათასი ფრანკი მიიღო, იმ საფუძვლით, რომ დიდი ხანია, რაც პარიჟის ცემა დაუკარგავს ამ გაზეთს და მზათ არის, რომელი მთავრობაც გინდა, იმას ემსახუროს; მესამე გაზეთს მხოლოდ 150 ათასი ფრანკი მისცეს, იმ საფუძვლით, რომ ეს გაზეთი მზათ არის ყოველს მმართველობას შეეწიოს, ოღონდ კი ის მოქმედებდეს კათოლიკის ნაციის წინააღმდეგ; ეს გაზეთი (Opinion National) 1859 წელსაც კი მოისყიდეს. ამ რიგათ პერეგენმა ბევრი

სხვა გაზეთებიც დაასახლა, რომელნიც ერთმანეთს პრუსიის მთავრობას მოესყიდოს. სულ ზემოხსენებულის გაზეთების მოსყიდვაში ერთნახევარი მილიონი ფრანკი დაუხარჯავს პრუსიის მმართველობას. მინამ უ. პერეგენი ამ კორრესპონდენტისა კითხულობდა მარჯვენა მხარეზე მსხდარნი დეპუტატნი იცნოდნენ; მარცხენა მხარეზე კი ჯავრობდნენ და რამოდენმეჯერ დიდი ყვირილით გააწყვეტინეს კორრესპონდენტის კითხვა. — ბერუ და ბოვენო: ჩვენ მაგას ვეწინააღმდეგებით. — პერეგენი კითხვას განაგრძელებს. — უ. ბარნი იე-პაქსი: მაგისთანა ამბის თქმა აქ მართებულია, მე ცილის დაწამება. პრეზიდენტი შენიდენო: უ. პერეგენო... (ბევრი ყვირიან) განაგრძეთ, კითხვა განაგრძეთ. პერეგენი კითხულობს. უ. მილი-მლივი: სიტყვის თქმა მინდა! — ბერნი იე-პაქსი: იკითხეთ! — მილი-მლივი. ახლა ორატორმა უნდა წაითხოს! — უ. პერეგენი კითხვას განაგრძობს. სხვანი გააწყვეტინებენ. პრეზიდენტი აღარ უნდა წაითხოს. უ. ბერუ: წამოიხსენებ: გინც მაგ სტატიას კითხულობს, მაგზე პასუხის მგებელი უნდა შეიქმნეს. წაითხოს ბოლომდის. (საშინელი ყვირილი). — უ. ბერნი: სიტყვა მინდა ვთქვა. — უ. პერეგენი: მე გადაკრით არ მილაპარაკნია და ამ სტატიის ავტორთან მონაწილეობა არა მაქვს. კორრესპონდენტის კითხვა გავთავი და ამით რაც მინდოდა, იმის განცხადებაც გავთავი. — უ. ბლენ-ბიზუენი: ამა დასახელებით ის გაზეთი, საცა ეგ კორრესპონდენტი წავიკითხეთ. — უ. დე-პერეგენი: ის გაზეთი გახლავს Finance (შინანსი) — მართი წევრი: მაგ გაზეთს ცული ხმა აქვს. მაგისი მოყიდვა

ადვილია. — უ. დე-პერეგენი: ამ გაზეთის ნომერი ამის მეტათ არ წამოკითხავს. აი მიიღეთ. მე მაგ გაზეთს არ ვიწერ. — უ. ბერუ: მე სიმდაბლეა. უ. ბერნი: მითხვო, რომ მაგ ცოდვენიკითხს ამბავზე ლაპარაკი გათავდეს. მე ვერაფრის დავიკავ. ისეთი მეგობრები არა მყავს, რომ მაგ კორრესპონდენტისა გაეშავებინოს ან შეიძლება მადისთანა საქმის დაწამება. რაც გავიგონე, მე არ შემეხება; მაგრამ ნებას მაინც არაფრის მივცემ, რომ უცხო-ქვეყნის გაზეთის დაწამებით გაპიკიხონ ვინმე ჩვენთანა (ძალიან კარგია) — ნებას არ მივცემ, რომამ ტრიბუნადგან ფრანკულულ მწერლებისა და სტამბის ღირსება დამციროს ვინმე მაგისთანა საკიცხავი დაწამებითა. (ძალიან კარგია! მოძრაობა და ყვირილი). ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ. ჩემის აზრით ეგ პალატის საკადრისი არ არის, რომ იმისთანა დოკუმენტმა, რომელიც დასაჯერი არ არის, პალატას ბასი გააწყვეტინოს და ზოგიერთი წევრები იძულებული ჰყოს, კრების წინაშე თავი გაიმართლონ. — უ. ბერუ: თავის გაართლება სრულებით საქმე არ არის. (ძალიან კარგია!) ამ მოუფიქრებელს მოქმედებას, რომ უცხო-ქვეყნის გაზეთის შეწამებით პალატაში დაყაროს სხვა-და-სხვა ცილი, ყველა კარგათ განსჯის ჩემის აზრით. მე ვითხვო. — მისაც ამისთანა სისულელე სწამს, იმან დამიმტკიცოს ეს თავის სახელით (მარცხნივ დიდი ხმაურობა). — უ. მილი-მლივი: ვალათ ვრაცხავ, დავძინო, რომ ერთმა მოლიბერალე გაზეთმა სამართლის წესით პასუხი მოითხოვა იმათგან, რომელთაც ცილი დაწამეს, იმის რედაქტორებმა ისე გაამტყუნეს იმათზე დაწამებული ცილი, რომ ცილის დამწამებლები სირცხვილი

სა გამო დამალნენ. ნუ თუ ამ კრებაშიც უნდა მივცეთ ნება, რომ იმ გაზეთებშიც განახლდეს? საწყინარია, რომ შევრეკიყვნილეს პასუხი გავცა ამისთანა ცილებზე; ამიტომ რომ იმის ზნეობითი თვისებაზე ყველა ისე დარწმუნებულია, რომ ცილის წამების ღირსება იმას ვერ შეშველავს. — უ. პერეგენი: არა, ეგ არ ითქმის. — უ. ბერუ: მაშ თქვენ პასუხი უნდა მომცეთ ცილის-წამებისთვის! — უ. მილი-მლივი. ღიან, მოწყალეო ხელმწიფეო! შრანსიულს გაზეთებში ხანდა-ხან გაცოცხლებული ბასი გაიმართება ხოლმე, მაგრამ ფრანკულის ჟურნალისტები აგრეთვე არიან წარმომადგენელი შრანსის ჭკუ-გონებისა. (ხმაურობა. ორატორს გააწყვეტინებენ). რომელთაც გადაჭრეს, იმათ რიცხვში ჩემი მეგობრებიც არიან (ხმაურობა); მე ვერ მოვიტყენ, რომ იმათ შეურაცხება მიაყენონ. (მარცხნივ მოიწონებენ, მარჯვნივ ჰყვირიან). ჟურნალისტებში ბევრი იმისთანაებია, რომელნიც სამშობლოსთვის დიდნი სასიკადულონი არიან თავისი ნიჭითა და ზნეობითა; და იმათში ერთიც არ ვიცი, რომ თავისი გონების სიმტკიცე გაეყიდოს. (მოუწონებენ, ხმაურობა). პრეზიდენტი გამოაცხადა, რომ ბასი გათავდა. ამ დროს უ. ბერუ აღგება და მიდის იმსკამთან, საცა პერეგენი ზის, ძალიან გაჯავრებით ელაპარაკება და შემდეგ ხელს აიწვეს, თითქო სილის გარტყმა ჰსდამებოდეს. დეპუტატები მაშინვე მისცივდებიან და ჩადგებიან იმათ შორის. სხვანი იმახიან, რომ პრეზიდენტმა წესიერებისთვის მოუწოდოს. დიდი ყვირილია. პრეზიდენტი გაუწყვეტლათ ზარს აწკარუნებს. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა დაშოშმანდებიან, პრეზიდენტი ეუბნება ბე-

გამკრახობა, ის დაუცხრომელი შრომა, რომ მერაპაში დღევანდელ ღატას ხელო მდიდარს მამულის პატრონათა ხდის. თუ ჩვენებური კაცი ცოტადვე ნასწავლია ან პირ-და-პირსამსახურისაკენ იწევს, ან არა და ორიოდვე დღე კარგათ მოიწადინებს მაწის ქექასა და ბოლოს სულმოკლეობით თავს მიანებებს, არ შეიძლება უფულოთ რისიმე გავითვალ. ის კი არა თუ ყველა ხერხიანობაზედა და მოთმინებაზე ჰკიდია. შიზიველესი კი ის არის, შრომას არა ვართ შეჩვეული. ჩვეულება, ჩვეულება შრომისა მუდამი, დაუცხრომელი დიდი რამ არის. — პირველია ქვეყანაზე! ამა შეხედეთ, შრომის მოყვარე ხალხი მდიდარი ხალხია და განათლებული, შრომის მოყვარე კაცი თუნდა გაუნათლებელი იყოს, მდიდარია. ცხოვრების სახსარი აქვს. მართალია, რომ ჩვენი საზოგადოება უძლურია ზოგჯერ.

— მინ შემოსავს ძალსა?
„ხალხი, ჩვენი გლეხი ხალხი.“
შეხედეთ რა გამხდარა ჩვენი გლეხი. სულ სხვა კაცი შეიქნა: თავის თავის პატივს შეიტყო, გამხნედა, გაქცია. იმ ძველ გლეხს აღარ იცნობთ, ამ სამი წლის წინათ რომ გინახავთ. მუშაობს დაუდგარივით თავისთვის, მუშაობს თავის სოფლისთვის: იმართავს პურის მაღაზიებსა, შკოლებსა, გზებს იკეთებს და სოფლის ბანკს გამართავდა ჰფიქრობს. ამან ჩვენ მართლ იმ ამბებზე არ ვამყარებთ, რაც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი. სოფლის ხალხში ეხლა სიცოცხლე დულს. მანხველი გაკვირებულია, რომ საიდგან დაიბადა ამ ხალხში ეს სიცოცხლე, ეს გონიერობა, ეს ძალა. დიდი გავლენა ჰქონდა ამაზე ყმების განთავისუფლებას, მაგრამ სოფლის თვითმმართველობაც, დიდ საქმესა შეერება. ბლეხები სოფლის შესახებ ყველაფერს გულისყურს აპყრობენ. ასე გაშინჯეთ სოფლის სისუფთავეზედაც კი ყურადღება მიუქცევით. რასაკვირველია, ყველა სოფლებში ერთი და ისივე საქმე არ გავითვლება. მართი ორი რამ ამ სოფელში რომ რიგდება, მესამე და მეოთხე — მეორეში და სხვა. შექველია მერე ერთმანერთს მიშაძვენ, და ერთმანერთისაგან მიიღებენ, რაც ჭკუაში დაუჯდებათ. ჯერ კი თავის

ვის სოფლის საქმის მმართველობას არ შეჩვეულან კარგათა და ამისგან მოუწყვებია ჰხდება. მაგალითათ, სოფლის მამასახლისებს დამოსამართლეებს თავთავისი ანამდებობა ვერ გაუტოლკვებიათ და ერთმანეთში ურევნენ; ზოგი ამორჩეული მამასახლისი და მოსამართლე სუსტნი გამოდგნენ თავიანთ მოვალეობის ასრულებაში. მიჩვენი ეს იყო, რომ გლეხებმა ჯერ არ იცოდნენ წესდებულება და, როგორც იყო, დაეინც მოხელათ, ისინი ამორჩევის თავის მოხელეებთან. მხლა რაკი შეიტყეს იმათ რა ეალი ადევთ და თითონაც რა შევლა შეუძლიათ, შემდგომი ფთხილათ იქნებიან მოხელეების ამორჩევაზე. შეიძლება, რომ მომავალი მოხელეები ისევე ეხლანდებლებთანა იყვნენ; აქედან სოფლის წესდებულებაზე ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, იმის აღსრულებას შეჩვენა უნდა. აი რუსეთში ხომ ჩვენზე უწინ შემოვიდა ეს წესები. მაგრამ დღევანდლამდის მაინც კიდევ უჩივიან მამასახლისებს და მოსამართლეებს. სატოადე დროება გაივლის, კარგათ წავა ეს ყველაფერი. ჯერ ეხლავე გლეხებს ესმით საქმე და ზოგიერთისაგან გავიგონია კიდევ, რომ მომავალ გაზაფხულისათვის რიგანათ ამორჩევის ემზადებიანო.

ჩვენი ექვიანობის თვალს სხვაზე რომ მივაქციოთ, ისა სჯობს. აი, როცა გლეხები ჩვენ ჩვენსა გეტხვენ. შემშარტათ სამწუხარო საქმე აი ეს არის, რომ რიგანი დამჯდარი და მტკიცე პასუხი ვერ მივცით. ბლეხებს, შკოლის გამართვაზე რჩევა უნდათ; იმ პასუხს აძლევენ, რასაც ჩვენი პაპა-ბებანი ამბობდნენ: მამა თქვენს არა ჰქონია შკოლა და პაპა-თქვენსა, რა გეშკოლებათ? მეორე კიდევ სოფელში ყოფნის დროს ვითომ რჩევებს აძლევს ვინმე მოხელეებსა და თავის საკუთარს სიტყვებზე მოხელესთან ლაპარაკი მოსდის. მართალია იმისი საქმე თუ არა, სულ კრთია. საქმე ის არ არის, რომ მოხელეებს გამწყარლესტებდნენ. მამა დავანებოთ თავი ამისთანაკაცებსა. მსენი იმდენს ტულს არ დაგემათი-დნენ, რომ სხვა-ფრთხი რიგანი მრჩეველნი ბევრი ჰყავდეს ჩვენ სოფელს ხალხსა. ჩვენ ეხლა შესანიშნავს ისტორიულ დროს

ვესწრებით. სხოვრების ძალი თავს იჩენს. ჩვენი მარმარილოს სტატუსავით გულ ხელ დაკრეფილი ვდგევართ და ვუტკერით. სხოვრება ჩვენ გვიწევს თავისი მომხიბლავის მოწოდებითა, ბევრს გულით გვინდა ვეწვიოთ, შევსვათ ცხოვრების სუფრაზე სასმელი; მაგრამ მუხლებში ძალა არა გვაქვს, რომ დაუახლოვდეთ სუფრასა. აი ბანკი. მხლა სოფლებში ამაზე ლაპარაკია. ბლეხები რჩევას ეკითხებიან. აქა-იქ ვინც უფრო სვინდისანია და საფუძვლიანათ საქმის გარიგება ურჩევნია უსაფუძვლოსა, სხვასთან რჩევას აწყობს, კითხულობს წიგნებს, ემზადება და ისე აძლევს პასუხსა. მაგრამ ამისთანაები ძვირათ არიან. სხვები გაურკვეველათ, მოუმზადებლათ, როგორც თავისი გონება ტყვის, ისეთს რჩევას აძლევენ. ამისთანა ბანკები თუ დაარსდა, ძნელია, რომ ბოლო გასტანოს და არ მოიშალოს. უფრო მომეტებული ნაწილი სოფლებისა უმრჩეველთა რჩევა, ამიტომ რომ ბანკის დაწესებას ცოდნა უნდა; მცოდნე, ნასწავლი განათლებული კაცები ჩვენში იშვიათია, ან სულ არ არიან.

აი ეს დაგაფიქრებთ. აქ დარწმუნდება ჩვენი მოძმე, რომ მართლ ლიტერატურულის განათლებით შორს ვერ წავალპრაქტიკულ ცხოვრებაში. მიღლის, ბოკლის, შოხტის, მოლე-შოტის, შლოსერის, შექსპირის, ნეკრასოვის და ჟურნალისტების და გაზეთების კითხვა, რასაკვირველია ჩვენ ცხოვრებაში ერთი ნაბჯის წინ წადგება. ჩვენ უფრო მეტს ვიტყვი და კეთილგონიერმა იცის, რომ განათლებულ კაცისთვის ამ მწერლების ცოდნა და გაცნობა მიუცილებელი საჭიროებაა. იმათი ცოდნა უფრო უნდა გავრცელდეს მეტადვე მაშინ, როდესაც უაზრო ზებრობა იწყებს გადამეტებას, და რომელსაც ერთი მწერლის გაცნობას და ცოდნას ერთი მთელი მეცნიერების ცოდნათა სთვლის. მაგრამ არც უაზრო ლექციების ზებრობით და არც მართლ ლიტერატურულ განვითარებით გავითვება. საქმე ჩვენ გვინდა სისტემატიკური, დამჯდარი ცოდნა მეცნიერებისა (наука). ახალს მოდგმას ჩვენ ეს უნდა გადავსცეთ; მეცნიერება

და მეცნიერება. ამას დაუმტოვოთ, არ დაგავიწყდეს აგრეთვე პირველი რამ, შრომის ჩვეულება, შრომაში ვარჯიში. ამ ორის უქონლობით დავჩნებით საუკუნოთ უძლურნი, როგორც ეხლა ვართ, და როგორც ეხლა, შემდეგაც ვერ მივცემთ პასუხს ცხოვრებისაგან მოტანილს კითხვასა. სჯობს, ჩვენი უძლურება და უღონობა ჩვენში ვალდართ და კარგათ შევიგნოთ. რომ ჩვენ ახლომოდგმას არ დაჰყვის ეს უბედურება.

მაინც ხალხი უპასუხოთ არ დარჩება: გლეხის შეილები შრომაში გამომდგარნი გაჰქელონ დაბრკოლების გზასა სწავლისაკენ, გაიმართვენ გზას და მოუტანენ შორიდგან თავის სოფელს მეცნიერების საუნჯესა. ღიან, ხალხი, ჩვენი გლეხი ხალხი შეგვემოსავს ჭკუა გონების ძალსა!

ტფილისის საკეთილშობილო ბანკის საქმე ამ კვირებში ასე მოტრიალდა, რომ ბანკი სარგებელს აიღებს გლეხებისაგან ცოტა მეტსა დადებულ პრაქტულ იმათის კაპიტალის შესადგენათ კი არა, როგორც წინათ იყო თქმულობა. აიღებენ მხოლოდ სასოფლო გლეხთ საზოგადოების შკოლების გასამართავათა. წინათ თქმულობის დროს იყო წარმოთქმული ჰაზრი, რომ საზოგადოთ დადებულზე მომეტებული სარგებლის ძლევა გლეხებისათვის ძნელი იქნებოდა. თუმცა გლეხები 24 პროცენტს აძლევენ ხოლმე, მაგრამ რამდენიც ნაკლებ იქნება გლეხისათვის პროცენტი, უფრო მაღელ შეუძლიან თავის საქმის გამართვა. ამ აზრს კერძოობით ლაპარაკში ზოგნი უმეტებდნენ, რომ კაპიტალის შედგენა ძალიან გვიან მოხდებოდა და მანამდის, ვინ იცის, იქნება უიმისოთაც, რა ცვლილებები მოხდესო. გლეხისთვის დღევანდელ საჭიროებასაგან გამოსვლა კი დიდი საქმეაო. მაინც რაკი ერთი ლაპარაკია, გლეხების ნამდვილი მონაწილეობისათვის ბანკში, იმედგაქვს, იქნება რამე დამატკიცებელი ფაქტი. მერმისიდან „დროება“ მესამე წელიწადში გადადგება და გამოვა იმავე რედაქტორისა და გამომცემლის ხელში. ჰორები ტყუილია, რომ რედაქტორი სხვა იქნებოდა, ხელის

რუს: ოქტევი ყოფა-ქცევით შეურაცხ-ყოფა
მიაყენებ კრებასა. მოგვიწვევ წესიერებისთვის
(ბეგრს სკამებზე დიდი ხმით მოიწოდებენ) — უ. ბარ-
ნიე-პაჟე და მ. ლიევი. წესიერების ასად-
გენათ ის მოუწოდებ, ვინც წესიერებას არ-
ღებებს. — უფ. ბერუ ძალიან გაჯავრებით უარს
ჰყოფს პრეზიდენტის შენიშვნას. — პრეზი-
დენტი: გთხოვ, გაჩუმდეთ, თორემ მეორეთ
კიდევ მოგიწოდებ წესიერებისთვის. — უ.
ჰულ-შაერი. ოქტენ ცილის-დამწამებლები
უნდა მოგეწოდებინათ წესიერების ასადგენათ.
უფ. პელტანი: ვინც ამ ტრიბუნადან ამ-
ხნევენ ცილის დამწამებლებსა, ისინი ძალი-
ან გამბედავნი უნდა იყვნენ, რომ, რაცა სთქ-
ვეს, აღარ გადატყვენ. პრეზიდენტი კიდევ მო-
უწოდებს წესიერებისთვის. პერიოდი ცატ-
ცოტათ დაწყებულა.

— სანაციონალო გაზეთში სწერენ 15 დე-
კემბერს პარიზიდან: პერვეგენის საქმეზე
შედეგნილმა სამედიტორო სამსჯავრომ გაგზა-
ვნა ერთი სარწმუნო გვამი ბერლინს, რომ იქ
გამოიკვლიოს მართალი. ექვი არ არის იმას და-
ლიან გაუჭირდება მართლის შეტყობა, ამისთვის
რომ არაფერ არ ეტყვის, თუ რასში დახარჯა
საიდუმლო თანხი ფული პრუსიის მმართვე-
ლობამ.

— წიგნი უფ. ბავენისა და ბერუსი. მრთს
ფრანკულს გაზეთში დაბეჭდილია ქვემო-
ხსენებული წიგნი უ. ბერუსი: სჯულის-და-
მდებს კორპუსის დეპუტატს, უფ. პე-
რვეგენს: მოწყალო ხელმწიფე, ოქტენ
სჯულის-დამდებ კორპუსის ტრიბუნადან სა-
ზიზღარი ცილი შესწამეთ ფრანკულს მო-
ლიბერალე პრესასა. რადგან მაგისტანა შეუ-
რაცხ-ყოფისთვის ჩვენი სჯული ნებას არ გა-
აღებს ის სრულებით არა ფიქრობს, თუ სა-
ზოგადოება არ აიღებს ხელს გაზეთისაგან. მა-
გრამ საზოგადოება თავის თანაგრძნობას არ
აკლებს. მხლავი ეტყობა ეს თანაგრძნობა ხე-
ლის მოწერაზე: ამ წინა ორ წელიწადს იმ-
დენი ხელის — მომწერი არა ყოფილა ამ თვე-
ებში, როგორც ამ მესამე წლის დამდეგამდის
არის.

აქ ჩვენ ლიტერატურას შევეხებით და ბარემ
გავაგრძელოთ. ამ დღეებში გამოვიდა „სისკ-
რის“ წიგნი ზედ წარწერით „ბოლონდელი
ნომერი“, (ესე იგი სექტემბრისა, ოქტომბრისა.
ნომრისა და დეკტემბრისა). ამასთანავე რედაქ-
ცია აცხადებს, რომ ორის მიზეზის გამო მო-
ხდა ყველა ნომრების საკუთრათ გამოცე-
მა და იმდეს იქონიებს, რომ დანარჩენს
სამს ნომერს არ მოსთხოვენ ხელის მომ-
წერნი, რადგანაც იციან თვრთმეტის წლის
მოღვაწეობა „სისკრის“ რედაქციისა. მემრი-
საც ისევე ისე გამოვა „სისკარი“ როგორც
აქამდის და ამიტომ სჩანს ტყუილი გამოდგა
ის ამბავი, რომ ვითომც „სისკარი“ ავლი-
წვილის ხელში გადადის. „ბუთონის-დელისა“
და „სასულიერო მახარებლის“ დანარჩენ ნო-
მრებისა არა ვიცით რა; იქნება კი ამ უკანასკნელ
ორ დღეებში გამოვიდეს. მემრის „სასულ-
იერო მახარებლის“ გამოცემაზე ჯერ განცხა-
დება არ არის. იმედი უნდა ექონიოთ, რომ ჩე-
ენს სასულიერო წოდებას არ მოაკლებს უპატივ-
ცემულესი მამა ხელიძე საკუთარს სალიტერა-
ტურო ორგანოსა.

საზოგადოთ იმედი ექონიოთ და ვეცადოთ
ქართულ ლიტერატურას ღონე მიეცეთ, გა-
ეგრეთ, რომ ავაყვავოთ ჩვენის ხალხის და-
ხმარებისათვის, განათლებისათვის, ერთი სი-
ტყვით სიკეთისათვის. ჩვენ, ვისაც კი შეგვიძლი-
ან, ვიმუშაოთ ხალხისათვის, რომ ხალხს, ღონ-
ისძიებაჰქონდეს, გაიგონოს თავის ენაზე, რაც
საჭიროა. შინ შეატყობინებს ბეჯითად ხალხს
საჭირო ცოდნას კაცისას, ქვეყნიერობისას,
თავის თავისას და სხვისას, თუ არ კიდევ იმასთან
მემუშაოთ იმისთვის ერთი-ერთს გასაგონარს
ენაზე... ღმერთმა ქმნას, მერმის ჩვენ ლი-

ტლეს სამართლის რიგით პასუხი მოგთხო-
ვით, ამისთვის ჩვენ უმთავრესი რედაქტორ-
ნი ოქტენგან დასახელებულის გაზეთებისა მო-
გიწოდებთ დამტკიცოთ ოქტენი შეწამება პა-
ტიოსნების სამსჯავროს წინაშე, რომელიც
შესდგა სამის გეამისაგან: უფ. შნეიდერისგან,
ჰულ-ფაერისგან და მორისგან. ოქტენის მხ-
რითაც ამოაჩიხეთ სჯულის დამდებ-კრების
ორი წევრი ამ სამსჯავროს შესასვლელათ,
რომ იმან სენას მართალი და საქვეყნოთ გან-
კიცხოს ცილის მწამებელნი. შანაჩენი სა-
ქვეყნოთ უნდა გამოცხადდეს. ბაზეთის Siecle
პოლიტიკური ნაწილის რედაქტორი ბავე-
ნი და Opinion Nationalის უმთავრესი რედაქ-
ტორი ბერუ.

— უფ. ბიერის პოლიტიკა. „ბიამსი“ და-
ცინებით განმარტებს უ. ბიერის პოლიტიკას.
„მთუ უფ. ბიერმა მართლა განიზრახა შრან-
ციის წინამძღომელობა, მაშინ ჩვენ აღვიღათ
შეგვიძლიან გამოვიცნოთ, რა მიეღოს შრან-
ციას. უფ. ბიერის პოლიტიკური აზრი ეს არის,
იმისთანა თანასწორობა არ უნდა იყოს მე-
როპაში, რომ შრანციას ყველაზე მომეტეუ-
ლი გავლენა არა ჰქონდეს. იმის მეზობ-
ლებში არც იმის სწორი უნდა იყოს და არც
იმაზე ძლიერი. ბიერის აზრით შრანციისთვის
ის ემჯობინება, რომ იმას პატარა საღერცო-
გოები საზღვრავდეს, ან პატარა კანტონები,
ახალი ბერმანია, თავდაუცველი შვეიცარია,
დამონებული იტალია და უძლური ისპანია.

— უ. პერვეგენი და ფრანკულსი გა-
ზეთები. პერვეგენის ცილის დაწამებამ დი-
დი ამბავი მოახდინა. ბაზეთის Siecle მართლა
შეეშინდა, რომ მცირე ბურჟუას (მოქალა-
ქეებს) საყვედური არ ეთქვა ამ გაზეთისთვის,

ტერატურას წლებიდანღვრე კი დარი დაუდგეს
და არა უფრო ცუდი.

ბი დარებზე ვილაპარაკეთ, რამდენი გადაე-
თვალეთ, იქნება ზოგს მოგებრდა კითხვა კი-
დეც: ზოგს კი იქნება უნდა საზოგადო-
რზე ლ პარაკი გაეგრეცოთ, ამიტომ რომ
ამ მუსაიფობის დაწყებაში ძალიან მოკლეთ ვი-
ლაპარაკეთ დარზე. ამისთვის თითქო ერთ
ყურში, ზოგაღის ფოტოგრაფიისა არ იყოს,
ერთ ყურში ჩამახინა: თქვი და მყორეში ნუ
იტყვი, თქვი, ნუ იტყვი. მაგრამ ჩვენ ებედეთ
და ვამბობთ მკვერ-მეტყველურათ, ვითარმედ
ჰაერი ამ დღეებამდე თუმცა იყო ჩვენში
ისეთი, რომელ არ იყო ფრიალ საგრძნო-
ბელი მისი სიმძიმე, თუმცა კი არსებობ-
და იგი, რამეთუ ეწერებოდა ჩვენ ქუჩათა
ჰბადებს უწმინდურებასა და რყენის ჰერსა),
არამედ აწ მოახლოებისა გამო ყინვისა და ცის
წაგრაგნილობის გამოისობით ჩვენს მხარეს
იქითა (არ ვამბობთ ღორიზონტსა რომ ჩე-
ენის მკითხველის ყური არ დაემაძიმოთ ევროპი-
ულის სიტყვითა) ეს არს საფიქრებელ, რამეთუ
იქნება გარდამოვიდნენ ღრუბელნი იგინი მხა-
რესა შინა და წარგრაგნონ აწ მყოფობად-
მდე უფრო მცირედ შეგრაგნული იგი ჰაერი
და აღმოუშვან გუბებთა და წუმპობებთა ჩე-
ენთა საზარელი იგი ყნოსვისათვის საგრძნობე-
ლი ჰაერი და გარდა ამისა დაცილილი
არს, რამეთუ ორთა ტყუპათ შო-
ბილთა ორაკულობას ჰქონდა გავლენა რა-
იმე წაგრაგნასა ზედა ცისას; ხოლო
ჩვენთა შორის დაიბადნენ ტყუპნი, რო-
მელთაცა თუმცა ჯერ არა ვითარი ორა-
კულებრივი სიტყვა არ წარმოუთქვამთ, მხო-
ლოდ წინათგრძნობაწი არიან, თუმცა იქ-
ნების, რომელ თვით უბრალონი იყვნენ ორა-
კულობასა შინა მომავლისა.

აბა როგორ მოგეწონათ ჩვენი მკვერმე-
ტყველური აღწერა. თითქოს ამისთანა ღაპა-
რაკს შეჩვეული ვიყოთ, ისე გავაგრძელოთ
ლაპარაკი. — მაგრამ ვინ იცის, რა ნაირ ეშმაკურ
მკვერ მტყველობას შეეჩვიოთ, თუ კი ფი-
ქრშიმოგვივინდა, რომ საჭიროა მკვერმეტყ-
ველობა. მა ვინ იცის რა ტუტუტურ ჰაერებს

პრუსიის მმართველისგან მოყიდული ხარო;
ამის გამო თავის გასამართლებლათ გაზეთმა
Siecle დაბეჭდა ისეთი სტატია, რომელშიაც
პრუსიელს ჰკიცხავს. ამ სტატიაში აი რა
არის: „რომის შოვნით იტალია უფრო ძლი-
ერი არ შეიქმნება; მაგრამ პრუსია კი სხვა-და-
სხვა პოლიტიკების შემოერთებით თან-და-თან
ძლიერდება. პრუსია არ უნდა გადასცილებო-
და მანზე გავლენულს ხაზს. ახლა კი ჩვენ
ვხედავთ, რომ არამც თუ მაინც ხაზს გას-
ცილდა, არამც რეინამდის ჩამოისწია. ჩვენის
აზრით, როგორც აქამდის ვუყურებდით, ისე
გულკრილად აღარ უნდა დაეწყუოთ ცქერა
პრუსიის პოლიტიკას. მთქვით, შრანციამ არ
უნდა დაუშალოს ბერმანიის შეერთებასა, მა-
გრამ რატომ ცხადათ არ მოითხოვს, რაც იმი-
სთვის დიდათ საჭიროა. ჩვენ რომ ვამბობთ,
მინამ ჩვენს ინტერესს და ღირსებას არა გა-
უჭირდება რა, პრუსიის საქმეში არ გაეგრევი-
თ; — ის არა სჯობიან, ასე ეთქვათ: „ბერმა-
ნიის შეერთების წინააღმდეგი არავართ, ჩვენ
იმის მეგობრები დამოკავშირებით გახლავართ;
მაგრამ ეს კი არ გვინდა, რომ ამ ქვეყნის შე-
ერთება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს სა-
სარგებლოთ მოხდეს და იმან დააღვას ბერმა-
ნიის თავისი უღელი; ჩვენ მეგობარი ვართ
თავისუფალ ბერმანიისა, მაგრამ იმ ბერმანი-
ასთან არა ვითარი მიმართობა კი არ გვინდა,
რომელიც პრუსიის მონა გახდება.

ბ ე ლ ე ბ რ ა მ მ მ მ ი,
პეტერბურგში მიღებული.
ფლორენსია, 5 (17) დეკემბერს. ღვე-
ვანდელს დეპუტატ-პალატის ყრილობაში
უფ. ღვარტისმა გამოაცხადა, რომ ის არ

იტყვის კაცი, როგორც ზემოთა: აბა ყინვაში
სიმყარე სად არის და ცრუმორწმუნება ვი-
თომც ტყუპის დაბადება ჰაერისთვის ცუდი
იყოს. შინ იცის, იფიქრონ კიდევ, რომ ძველ
მკვერმეტყველებს გვინდა მივბაძოთ, ან იქ-
ნება გვირჩიონ დაჩუბდით. ღაფრუდებით.

მაგრამ ჩვენ ლიტერატურაზე დავდგით.
მერმის ქალაქში ორი რუსული პერიოდიკუ-
ლი გამოცემა გამოვა: „მაცკაზი“, რომლის
გამოცემაზე იყო განცხადება, გამოვა ორთა
მმა ლიეცკების ხელში; ერთი ამთვანი ყო-
ფილაოდესმე (მერდერესკის წინათ) „მაცკასი“
რედაქტორათა. მეორე ჟურნალი „Кавказское
Жизно“, გამოცემის ბერგშტამისაგან, შვარცის
რედაქტორობით. გამოვა კვირაში ერთხელ
ორ თახხანი, ფასი 10 მანეთი გაგზავნიოთ.
ამ გამოცემაში სხვათა შორის იქნება პოლი-
ტიკური ნაწილი; მასასადამე, ამასაც გაზეთის
ადგილის დაჭერა შეუძლიათ. შვარცი ამ ოთ-
ხი წლის განმავლობაში რაც შეეძლო პატი-
ოსწურათ ასრულებდა ლიტერატურის მსახუ-
რებასა და ამასათვის ვისურვებთ იმის ახლის
ჟურნალის წარმატებას.

მემრის რუსეთში ბევრი ახალი პე-
რიოდიკული გამოცემა დაიწყო რუსულ
ენაზე. ძალიან სასიამოვნო ამბები მოგვითხა ამ
კვირას მოსულმა გაზეთებმა: მემრისიდან გა-
მოვა პეტერბურგში „Современное Обозрение“
ჟურნალი სალიტერატურო სამეცნიერო და
საპოლიტიკო. რედაქტორი და გამომცემელი
არის ნ. ტიბლენი. გამოვა ყოველ თვე 15-დან
20-დის დიდ თახხანი (двойной лист) ნომერი.
შასი გაგზავნილ 16 მანეთი 50 კოპ. შინც კი
დაჰკვირვებია უ. ტიბლენის მოღვაწეობას, არ
შეიძლება, რომ სიხარულით არ მიიღოს ეს

უარ ჰყოფს, თუ პალატა სამინისტროს მხარეს
დაჭერას ისურვებს. შრანცია გვეჩვენებს
ამბობს ორატორი და ჩვენ ომის გამოცხადებ-
ბა არ შეგვიძლიანო. როდესაც მხარის შინა-
განი საქმეები უკეთესს მდგომარეობაში შეე-
ღენო, მაშინ შეიძლება რომის მოპოვება და
იმის დედა-ქალაქათ ქცევაო. უფ. მენაბრემ
სთქვა, რომ იტალიის ჯარებს უფლება ჰქონდათ,
რომ პაპის ქვეყნებში შესულ იყვნენო. თეი-
თონ პაპის აგენტებმა ტელეგრაფებით მოუ-
წოდესო ჯარები თავისუფლების და წესის და-
საცველათ. უფ. მენაბრეს აზრით სექტემბრის
კონვენცია სრულებით არ გაუქმებულა, მხო-
ლოთ ძლიერი წაერთვა მას შემდეგ რაც შრან-
ცია საქმეში გაერია. მენაბრე ამას აცხადებს,
რომ იტალიამ შესწევითა პაპის ვალის მი-
ცემა, რომელსაც სხვა-და-სხვა ვადებზედ ამ-
ღუევდაო. შრანციამ ჯერ პაპის ქვეყნებიდან
უნდა გამოასხას თავისი ჯარი და შემდეგ, რო-
დესაც კონფერენციას ისევ ძალა მიეცემა, მა-
შინ უნდა ვეცადნეთ, რომ უკეთესი პირობ-
ები დაიდებაო.

— 6 (18) დეკემბერს. ბუშინდელს დე-
პუტატ-პალატის ყრილობაში უფ. ღვარტი-
სმა შეიღობიანათ ილაპარაკა, მაგრამ სექტემ-
ბრის კონვენციის აღსრულება კი შეუძლებე-
ლათ ჰოვო. იმანაც სთქვა, რომ თუ რომის
შინაური საქმეები უკეთ დაეწყუოთ რომის
მოპოვება და იმის დედა-ქალაქათ დანიშნა
შესაძლებელი იქნებაო. ღვარტისმა გაიხსენა
1866 წლის ომი, რომელიც კარგათ ვერ
გათავდა. ამის შემდეგ მენაბრემ დაიწყო ლა-
პარაკი, და სთქვა, რომ იმან ყოყმანობით მი-
იღო იმ დროს, როცა ჯარი ცუდ-მდგომარე-
ობაში იყო და შრანცია კიდევ გარეულოყო.

ამბავი. იმისი კეთილ-სენიდიისანი წიგნების
მოცემა და წიგნების ეპრობა ყველამ უწყის,
ვინც კი რუსული ლიტერატურის ვითარება
იცის. შნდა მოველოდეთ, რომ უკეთეს რუ-
სის ჟურნალისტებს მონაწილეობა ექ-
ნებათ. პირველ ნომერებში იქნება თხზულე-
ბები: სლევცოვისა, პოტუხინისა, მიხაილოვისა
(მილერისა) და ადელივისა. ადრესი არის:
პეტერბურგს, იმ ჟურნალის რედაქციაში (ფო-
ჩტამტა იცის.)

აგრეთვე Петербургск. Вѣд. სიტყვით გამო-
ვა ახლის რედაქტორობით (ჯერ რედაქტო-
რის სახელი არა სჩანს) „Отечественныя За-
писки“, წელიწადში თორმეტ წიგნათ. გამო-
ცხადებულია, რომ მემრისიდან მიიღებენ
მონაწილეობას: ნეკრასოვი, შჩეგინი (სალ-
ტიკოვი), მლისიევი, მარკო—მოვიჩი და
სხვანი. ამას ველარაფერს ვერ დაუმატებთ,
ჩვენის მხრით. მისთვისაც საინტერესოა, იმან
თითონ იცის ამ უკანასკნელ მწერლების მო-
ღვაწეობა და იმათგან დაჭერილი ადგილი
რუსულ ლიტერატურაში.

მასრულებთ რა ჩვენ ლაპარაკსა, მოვისურ-
ვებთ მკითხველისათვის ახალ წელს სიკეთეს
და ბედნიერებას, კი დარჩანობას.

შე. მენაბრეა—ამართლებდა იტალიის ჯარის გადასვლას რომის საზღვარზე იმით, რომ ეს თვითონ რომის მცხოვრებლებმა მოინდომესო. პონაპონი დროებით ძალა დაკარგაო მაგრამ ისეთი მიზეზს კი ვერა ვხედავთ, რომ სულ გაუქმდესო. შე. მენაბრეამ ესეც გამოაცხადა, რომ მმართველობა ახალი პირობების დადების დროს ეცდებოდა, რომ იტალიის ინტერესი არ დამცირდესო და ვერცთუ შრანციას იტალიის და რომის საქმეში გარეენიდან ხელი ააღებინასო. თუ რომ კონვენციას ძალი იხვე მიეცემა, მმართველობა ეცდებოდა, რომ უკეთესი პირობები დაედებოდა და ის კონვენციის აზრი აღსრულებდეს, რომლითაც გესურსო, რომ შრანციას რომი აღარ ექროს და ერთად ცხოვრება შეიძლებოდესო რომის და იტალიის შორის.

პარიზი 6 (18) დეკემბერს. Constitutionnel ში დაბეჭდილს უფ. პოლინა ლიმერაქის სტატიაში ეს არის ნათქვამი:

„შე. რუეს განცხადების შემდეგ, ნ დეკემბერს, ბერმა ჟურნალებმა გამოსთქვეს, რომ კონვენციის აღარ მოხდებოდა.

ამ განცხადებამ, რომელიც იმ პოლიტიკას ამტკიცებს, რომელსაც შრანციის იმპერატორი 19 წელიწადს მისდევდა, როგორ უნდა შეიძლოს, რომ სახელმწიფოების რომის საქმეზედ მოლაპარაკებას დაუშალოს; ეს ჩვენთვის ძნელი მისახდამელია. მერაინ გერას დროს ვერ მოიფიქრებდა, რომ ტრაქტატის წინააღმდეგ, მერაინის სახელმწიფოების წარმომადგენელნი შეიძლებდნენ სამფლობელოების წართმევას იმ ხელმწიფისათვის, რომელიც თვითონ იმათ სჯულიერ ხელმწიფეთ იცნეს.

მერაინ დაიჯერებდა, რომ იმ საქმეების შემდეგ, რომელიც შეიღის წლის წინათ მოხდა, ესევე სახელმწიფოები იტალიის ერთობის დარღვევას მოიმდომებდნენ; ნ დეკემბრამდის არ შეიძლებოდა ვისმეს მოეფიქრა, რომ პაპს სამფლობელოს წართმევდნენ და ან იტალიის ერთობის იარღვევას მოიმდომებდნენ. საძირკვლათ ეხლაც ისევე ეს ჭჩება: კონვენციის ეს უნდა ჰქნას, რომ modus vivendi დაამყაროს, რომელმაც იტალიის და რომის შუა მორიგება გაადვილოს ერთი მერაინის შური და მტრობა მოსპოს. ამათ სრულს ერთმანეთში მორიგებას კი დროების მეტი ვერაინ შეიძლება. ამ საქმის შესასრულებლათ მთელი მერაინის საქმეში გარეენა კარგი იქნებოდა. იმპერატორის მმართველობას ამ გვართ თავისი აზრი არ გამოუცვლია და თუ ამ შერიგებას იტალიის და კათოლიციზმის შორის ვერ შეიძლებს და იმათ ერთმანეთში მტრობას არ დაიშლიან, მაშინ ის თავის ვალს მაინც აღასრულებს.

ფლორენსია 8 დეკემბერს. უ. რატაციო როცა რომის საქმეს შეეხა, წარმოსთქვა, რომ მინისტრების რჩევაში ხმის გადამცემით მიღებული გადაწყვეტილება რომში შესვლაზე რომ ავსრულებინათ ფრანკულების გარეენადის, მაშინ ეს ამბავი ძალიან განადგილებდა რომის საქმისა გადაწყვეტასა. ჯარი სრულებით საქმე იქნებოდა ამ საქმისთვის ამიტომ, რომ ფრანკულებს საქმეში გარეეა ჯერ არავის ეგონა. სულ გარემოებაში იტალიის კეთილ-მეგობარნი სახელმწიფოები გადაწყვეტილად სისხლის ღერას უწინააღმდეგებდნენ. „არ შეიძლება ვიფიქროთ, სთქვა რატაციო, რომ შრანციის მმართველობას იტალიასთან კავშირისათვის არ ეყურებინა და ომიანობა დაეწყო იტალიაში სხვა პაპით და არა იმისთვის, რომ დაეცვა იმისი სიმათლე, ინტერესი ან ნაციონალური პრინციპი, არამედ იმისთვის, რომ ეშველა იმ გვარის მმართველობისათვის, რომელიც არის წინააღმდეგი სრულიად ცივილიზაციისა და ადგილს აძლევს შრანციის დინასტიის წინააღმდეგ შეთქმის მომხდენელთა, და რომელიც ყოველგვარ თავისუფლურ დაწესებულებებს მებრძოლა.“ შემდეგ უ. რატაციო მმართველობას ურჩევდა, რომ არავითარი დათმენა და მსხვერპლი არ მოიტანოს რომელიდან ფრანკულების ჯარის გაყვანისათვის! ეს უნდა მოხდეს შრანციის საკუთარის ინტერესისათვის და ხალხის სურვილისაგან. უნდა მოველოდეთ, რომ შრანციისათვის მმართველობა სხვა პრინციპებს გამოაცხადებს.

მასუკან უ. რატაციო ამაგებდა მმართველობის განზრახვას შესახებ ბეჭდვისა და ასოციაციების კანონების შემკიდრობისა და აღუთქვა სამინისტროს თავისი დახმარება, თუ იმის რჩევას დაჰყევინა. უ. მენაბრეამ (პირველმა მინისტრმა) უპასუხა, რომ საიღებო პასუხს ელის შრანციის მმართველობისგან, რომელსაც დიპლომატიური გზით წარუდგინა კითხვები; და იტალიის კაროლის მმართველობა კონვენციის მიიღებს ისე და არა სხვაგვარად, რომ საფუძვლათა ჰქონდეს ნაციონალური პროგრამა და სთქვა რომში შესვლა არ შეიძლება, ფულისა და ჯარის უქონლობითაო.

სხვა და სხვა ამბავი.

რკეანიის კუნძულებზედ კაცების ტაცვა. მისიონერი ტურნერი სამოაოს (ზღვაში მოგზაურთ) კუნძულებიდან იწერება 1867 წელს 18 იანვარს: მართი აქაურა პატარა კუნძულების მცხოვრებელნი, რომელთაც ჯერ ქრისტიანობა არ მიუღიათ, ეხლა დიდს შიშში და ძრწოლაში არიან. როდესაც მე ამ კუნძულზედ გამოვედი შევიტყე, რომ ერთი კვირის წინათ აქ ევროპელი გემი მოსულა. ამ გემის კაპიტანს კუნძულები მიუპატიჟნა გემში და როცა ორმოცამდის კაცი სწევია, მიუტომევი იმ მოგეს სუხა და ახალი, ამ დროს სწევია კაპიტანს ერთი პირთეთრი კაცი, რომელიც ამ კუნძულზედ სცოვრებს. კაპიტანს უძღვეია იმისთვის (პირთეთრი კაცი) 700 დოლარი (ფული) შემწეობა მომეცი, რომ ორმოცდა ათიდან 100 მდის კაცი კუნძულის მცხოვრებელნი მოვიტაცოვო პირთეთრს კაცს, (მოტლანდიელი) თანხმობა გამოუცხადებია და უთქვამს კუნძულზედ შენი პრიკაშიკი გამატანეო თან სხვა-და-სხვა საეჭრო საქონელი წამოიღოსო ნადირებზედ, ღორებზედ და მიწის ნაყოფზედ გასაცვლელათაო. როდესაც მოტლანდიელს პრიკაშიკი თავის სახლში მოუყვანია, მაშინვე დაუტუსალებია; პრიკაშიკისათვის უთქვამს, რომ კაპიტანს მისწერეო რაც გემში დატყვევებული კუნძულები ჰყავს გამოუშვასო, თორემ შენ აღარ გაგიშვებო. პრიკაშიკის ეს მიუწერია კაპიტანისათვის, მაგრამ იმას მაშინვე აუშვია თავისი გემი და წასულა. მოტლანდიელმა არ იცის, ამ გემს რა ერქვა და ვისი იყო, მაგრამ ეს კი შეუტყვია, რომ ბოროტადან ყოფილა და შრანციის იალქანი ჰბოია. როგორც პრიკაშიკი ამბობს ის გემი მეღებურნიდან მოსულა და კაცების ტაცებაში კიდევ ორი სხვა გემიც რევია. ტუნძულები თურმე იმისთვის მიჰყავთ, რომ ერთს რომელსაც დაუყენებდეს კუნძულზედ კოკისის ზეთს ახდენებენ. ამ მეგემებს 100 მდის მეტი კაცი ყოლიათ მოტაცებული სხვა-და-სხვა კუნძულებიდან.

— ლაიშევის ქალწულები. ლაიშევის უფლები (პაპ. გუბერნი). არის ერთგვარი სექტა ქალწულებისა, რომელთაც ხალხი ეძახი „ქალწულებსა თავისთვის“. რაიმე მიზეზისა გამო რომ გლეხის ქალმა აღარ ისურვოს გათხოვება, მაშინ ის შეუდგება ქალწულობას და მიება რეზა მერაი ქალწულის წიგნის სასწავლებლათ.

ზღვების აზრით ქალწულობის ცხოვრებისათვის წიგნის სწავლა ისე მიუტკლებელია, რომ წიგნის მცოდნე და ამასთანავე ღმრთის მოყვარე ქალი, არც კი უნდა დაქორწინდესო; ქორწინება ცოდვაც არისო; ამისთვის წერაკითხვის მცოდნე ქმრიანი ქალი ამ უფლებში არც კი მოიძებნება, გარდა იმ სოფლებისა, საცა ვაჭრობაა გამართული. რა წიგნებს კითხულობენ ეს ქალწული ქალები?— ლავითს, მეტაფრასს, წმინდა მამების ცხოვრებას და სხვ.; მაგრამ ერთგვარი კითხვა კიდევ იტან, — იმათ აქეთ აპოკრიფების ძველებული ხელ-წაწერები, რომელთაც ძველათ ეძახდნენ „დედა კაცების ბეაბრობასა.

სახაზრო განცხადება.

(Закавказский Вѣстник № 100)

1) ძველის სამხედრო მკრუვის საინტენდანტო სამმართველოში მომავალი 1868 წლის იანვრის უკანასკნელს რაცხებში მოხდება ტორგები, პერეტორიკით სამის დღის უკან, სადაც გაიქცეა იჯარით ლენკარანის მალაზიის საზრავანტო ზოზბლის დაქვეა, ასე რომ წისქვილში მითან — მოტანაც იჯარით ამდებმა უნდა იკისროს; ვადა სამი წელიწადი პრის. თვითო წლის განმავლობაში 2,000 ჩეთე. უნდა დაფუძვს. მკოდრიტმ თავის ხარჯით უნდა მიიტანოს და მოიტანოს ზოზბლი და ამასთან ისე მარჯვით უნდა მოიქცეს, რომ ჯარს საზრდო არ შემოაქლდეს. დადებულს ფასს მეპოდრიად თვისა-და-თვის თავზედ მიიღებს ზემოხსენებული მალაზიის ზედამხედველისაგან. დასარწმუნებლათ, რომ ამ საქმეს ნამდვილათ შესასრულებს, იჯარაღარმა სჯულიერი ზალოგი უნდა წადგინოს, სადაც რიგია. ის ზალოგი იმ ფულის ნახევარი უნდა იყოს, რასაც იჯარაღარი ერთს წელიწადს აიღებს ამ პოდრიადიდან. (სოფელში მდებარე მამულებს არ მიიღებენ ზალოგათ). დაწერილებით ცნობა ამ საქმის შესახებ მსურველს შეუძლიან შეიტყოს ლენკარანის უფლის სასამართლოში. ტორგში ამ საქმეზედ მოლაპარაკება, როგორც პირათ, ისე დაბეჭდილი გაიცადებთათ შეიძლება. განცხადება თვითონ პოდრიადის მსურველთ უნდა შეიტანონ ტორგის დროს, დილის 11 საათამდინ, ან არა და სხვის ხელით შეგზავნონ ამ ვადაზედ. განცხადებაში ცხადათ უნდა იყოს მოხსენებული, თუ პოდრიადის მსურველი ვინ არის. თუ ორს, ანუ რაოდენთამე ამხანაგთ მსურთ იკისრონ ეს პოდრიადი, მაშინ იმათ განცხადებაში ესეც უნდა გამოაცხადონ.

11) დეკემბრის 30 რიცხვში მოხდება ტორგი ტფილისის ქალაქის მესამე განყოფილების პრისტავის ზედამხედველობით აკლამარში მდებარე დაუშენებელი მიწების გასასყიდველათ. ის ადგილი ბრენადერის ჯარის სადგომ სახლებს ახლოა და ოთხგან მდებარებს. სამი ადგილის ზომა ცალ-ცალკე რომ ავიღოთ 150 კვადრ. საყვამდინ არის, ზოლო მეოთხისა: 200 კვად. საყენი. მაგრამ ამ პირობით უნდა შეისყიდონ მსურველთ ეს ადგილები, რომ სახლები ფასადზედ ააშენოს: ტორგში შეუძლიან პირათ განუცხადონ თავისი სურვილი. მეგრეთე მიიღება დაბეჭდილი კონვერტებით.

საზოგადოებრივი ცნობა.

ქართული ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეობისთვის.

შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან,

ისყიდება შემდგომ ადგილებში: ტფილისში

მელიქიშვილის სტამბაში, სემინარიის ბიბლიოთეკაში, ალადათოვის; ბერენშტამის და მარ-

თანოვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში

გ. ძალანდარიშვილისას სასულიერო სასწავ-

ლებელში; ზორში სასულიერო სასწავლებელში;

ლმევე იოსებ ლაშაურისას.

შასი ყველგან ორი შაურია.

არითმეტიკა შედგენილი მ. თულა-შვილისაგან და მ. შიფინისაგან. შასი სამი შაურია.

ამბავი ძველის დროშის ხალხებისა. ნაწილი პირველი. უწინდელი ინდოელი და მშვიდპატივები. რუსულიდან ნათარგმნი. შასი სამი შაურია.

როსტომი. ნ. ბაბათაშვილის, ილ. შავჭავჭავის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი პ. ლორთქიფანიძისაგან. შასი ერთი მანეთი.

მეფხვის-ტყაოსანი

შასი ათი შაურია.

თ. გიორგი პრისტავის თხზულებანი, ავტორის პორტრეტით. ნაწილი პირველი. შასი ერთი მანეთი.

ნაწილი მეორე ფასი ერთი მანეთი.

სამართლმცოდნეობის კალენდარი, შედგენილი

ნ. ავალიშვილისაგან. შასი ათი შაურია.

სამართლმცოდნეობის ისტორია თხზულება ბატონისშვილის თეიმურაზისა. შასი ერთი მანეთი.

კალმასობა. თხზულება ბატონისშვილის იოანესი. შასი ორი მანეთი.

ი ბ ე კ დ ბ ა.

ანბანის უამრავი მორა საკითხავი წიგნი მოსწავლეობისთვის, იაკობ ზოგებაშვილისა.

ტფილისში: მელიქიშვილის და კამპანიის სტამბაში; ბერენშტამის, ალადათოვის და მწიფიანის საწიგნო მაგაზინებში.

ქუთაისში: შე. ბერ. ძალანდარიშვილთან და ხელთუფლიშვილის მაღაზიაში.

კარდოლოგიი განცხადება.

ტფილისის „დროების“ რედაქციაში და ბალაინის პროსპექტზე, პრწურის ქარვასლის წინ ნებეროვის თამბაქოს მაღაზიაში ისყიდებიან მენეციაში მშენიერი მომსახურათი დაბეჭდილნი და სუფთად შეკრულნი ქართულნი წიგნნი.

მართი დიდი ტომი სამლოა-წერის ძველის და ახლის აღთქმათა მოთხრობა, რომელსაც აქუს 870 პირი, და ორიც ხატი, ფასი 2 მან.

პრცელი წმიდათა ცხოვრება; ერთთა მშენიერი ხატი. შასი — 1 მან. და 20. კაპ.

ზნეობის სასწავლო იგზობის იგენი ყრმათა გასაწურთნად. შასი 40 კაპ. ზოლო ამა სამთავე წიგნთა ერთად მყიდველს მიეცემა სამივე მანეთად.

ამ წიგნებს სამივეს სუფთა კანი აქვთ, რომელთაც ტფილისში სამ მანეთად ძლიერ შეჰკერენ. ქუთაისში ისყიდება ამავე ფასად წუა ბაზარში პავლე მცხელის მაღაზიაში.

პირველის იანვრიდან ნამდვილის კახურის ღვინისა პოდვალი გაიღება, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ კახეთის მებატონეებსა ეს პოდვალი იმყოფება სოლოლაკის ქუჩაზედ, ალაბაზოვის სახლებში, დეზოლომის მაღაზიის ქვეშ, ღვინოს ფასი ზომიერი ეღება დაწერილებით ამავე ცნობა პოდვალის გაღების შემდეგ გამოცხადდება.

შპატეცემულებს საზოგადოებას განუცხადებ, რომ აბრეშუმეულობის და წმინდა ნივთების ჩემი მაღაზიის თ. სუმბათოვის სახლიდან ვადაციტანე მელიამინის ქუჩაზე, ცეცხლის საქობდელ კამანდის პირდაპირ, მანდოევის სახლში, ფოტო-ნათის და ლამპების დეპოს გვერდით უფ. მიტტეს და კამპ.

3. რეკანი.